კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS
მისამართი - მ.ალექსიძის 1/3

„ხელნაწერები ჩეხეთის ბიბლიოთეკებში“

28 მარტს 18:00 საათზე კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ჩეხეთის საელჩოს ორგანიზებით გაიმართება გამოფენა **“ხელნაწერები ჩეხეთის ბიბლიოთეკებში“.**

ღონისძიების მიზანია საზოგადოება გაეცნოს ჩეხეთში დაცულ უნიკალურ ხელნაწერებს, მათ ისტორიას. გარდა ამისა დაინახოს განსხვავება და ანალოგიები შუა საუკუნეების საქართველოსა და ევროპის ხელნაწერ კულტურაში.

ჩეხეთის რესპუბლიკა ცდილობს თავისი ხელნაწერები გააცნოს ფართო საზოგადოებას და ხელმისაწვდომი გახადოს ყველა დაინტერესებული პირისათვის. ამ საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის ჩეხეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა იუნესკომ სპეციალური პრემიითაც კი დააჯილდოვა

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ჩეხი ხალხის კულტურის თვალსაჩინო ნიმუშები, ჩეხეთის ბიბლიოთეკებში დაცული შუა საუკუნეების ხელნაწერების ფოტოასლები. უნიკალურად გაფორმებული ხელნაწერები, რომლებიც გვიყვებიან წარსულის შესახებ.

გამოფენაზე ასევე წარმოდგენილი იქნება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ქართული ხელნაწერების მულაჟები (ასლები). შუასაუკუნეების პერიოდიდან წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ჟანრისა და თემატიკის ხელნაწერები: ბიბლიური, ლიტურგიკული, საისტორიო ასტოლოგიური და სხვ.

საზეიმო მიღება და გამოფენის გახსნა ჩატარდება ხელნაწერთა ცენტრის ახალ შენობაში. (ლეონიძის ქ. 3)

შეგახსენებთ, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის უდიდესი ხელნაწერი მემკვიდრეობის საცავი საქართველოში. იგი ემსახურება ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სამეცნიერო პროდუქციის შექმნის გზით ხელს უწყობს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდასა და განვითარებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
მარიამ ჯაბიძე
mariamjabidze@gmail.com
598 175 777; 577 977 199
თამარ გურგენიძე
friends@manuscript.ac.ge
599 899 628